## საკონსულტაციო სამუშაოს შესრულების ვადები და პირობები

დავალების დასახელება:

**პროექტის "გაზრდილი სასოსფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ცნობიერება (CAPCA)" ბენეფიციარი ფერმერების ტექნიკური მხარდაჭერა და სერტიფიცირების პროცესისთვის მომზადება HACCP-ის პრინციპებისა და GeoGAP-ის სტანდარტის დანერგვის მიზნით.**

| | |
|---|---|
| საკონტრაქტო ორგანო: | საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA) ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის „გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ინფორმირებულობა (CAPCA)" ფარგლებში. |
| საჭირო გამოცდილება: | დადასტურებული გამოცდილება სურსათის უვნებლობის მიმართულებით - მერძევეობისა და მეფუტკრეობის მიმართულებით ღირებულებათა ჯაჭვში ჩართული მხარეებთან მუშაობის, კონრეტულად კი მათი სერტიფიცირების მიმართულებით. |
| პერიოდი: | 2025 წლის სექტემბერი - 2025 წლის დეკემბერი |

1. **ზოგადი ინფორმაცია**

„გაზრდილი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და მომხმარებელთა ინფორმირებულობა" (CAPCA) არის 3 წლიანი (2023-2025) პროექტი, რომელიც დაფინანსებულია საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპული სამეზობლო პროგრამის ფარგლებში (ENPARD – საქართველო), კერძოდ, მეოთხე ფაზაში (ENPARD). IV). პროექტი ხორციელდება საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) კონსორციუმის (წამყვანი პარტნიორი) და ორი თანაგანმახორციელებლის: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) და საქართველოს მთიანი რეგიონების ამბროლაურის რაიონის ფერმერ მეფუტკრეთა ასოციაცია.

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს ოთხ რეგიონს (გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი და კახეთი) და ფოკუსირებულია რძის და მეფუტკრეობის სფეროებზე. CAPCA პროექტის მეშვეობით კონსორციუმი მიზნად ისახავს შემდეგი მიზნების მიღწევას:

1. რძის პროდუქტებისა და მეფუტკრეობის მიწოდების ჯაჭვის აქტორების (ფერმერები/პირველადი მწარმოებლები, სურსათის ბიზნესის ოპერატორები (FBOs) და ა.შ.) აღჭურვა პრაქტიკული უნარებით, ცოდნით, შესაძლებლობებით და საშუალებებით, რათა ხელი შეუწყონ სურსათის უვნებლობის (SPS) სტანდარტების გაუმჯობესებას.
2. გაძლიერებული დაინტერესებული მხარეების (ფერმერები/მწარმოებლები, საცალო ვაჭრობა, საჯარო სექტორი, ლაბორატორიები, მომხმარებლები და ა.შ.) კომუნიკაციისა და ჩართულობის ხელშეწყობა DCFTA-ის დაახლოების პროცესში.
3. ქართველი მომხმარებლების, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და მედიის ინფორმირებულობის გაზრდა სურსათის უვნებლობის მარეგულირებელი მოთხოვნებისა და მომხმარებელთა უფლებების შესახებ, რათა ხელი შეუწყოს

ყიდვის პროცესში მომხმარებლის შეგნებულ და გაცნობიერებულ გადაწყვეტილებებს და გაზარდოს მოთხოვნა ხარისხიან პროდუქტებზე საქართველოში.

## 2. კონსულტაციის მიზანი

ამ პროცესის მიზანია უზრუნველყოს:

1. **ფერმერების ტექნიკური დახმარება და სერტიფიცირებისთვის მომზადება GeoGAP სტანდარტის დანერგვის მიზნით:**
- ფერმებში პირველადი ვიზიტების განხორციელება და სერტიფიცირების პროცესისთვის საჭირო ტექნიკური კონსულტაციის გაწევა;
- ფერმერებთან ერთად GeoGAP სერტიფიცირების განაცხადების შევსება და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება;
- ფერმების მეორეული შეფასება და ფერმის მზადყოფნის დადგენა სერტიფიცირებისთვის.

2. **საგრანტო განაცხადების გადახედვა და შესაბამისობის შეფასება პროექტის მოთხოვნებთან.**
   - სამოქმედო გეგმის მიხედვით ფერმერების მონიტორინგი
   - პერიოდულად პროგრესის მონიტორინგი
3. **დისტრიბუტორების და გადამამუშავებელი საწარმოების მონახულება, სახელმწიფო სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების მიწოდება. რაც მოიცავს :**
- საწარმოში ჰიგიენური პრაქტიკების (GHP) შეფასება და გაუმჯობესების რეკომენდაციების გაცემა;
- საწარმოო პროცესში საკონტროლო კრიტიკული წერტილების (HACCP) ის დოკუმენტების გადახედვა და შესაბამისობის დადგენა:

4. **პროექტის განმახორციელებელ თანამშრომლებთან მუდმივი კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა;**
   - სამოქმედო გეგმის დასახვა და/ან ცვლილების შეტანა საჭიროებისამებრ
   - პროექტის საორგანიზაციო გუნდთან აქტიური კომუნიკაცია.

## 3. მოსალოდნელი შედეგები:

**1. ფერმერების მომზადება GeoGAP სერტიფიცირებისთვის** - 80-მდე ფერმისა თუ საწარმოს შეფასება და ტექნიკური დახმარება.
**2. სურსათის უვნებლობის პრაქტიკის გაუმჯობესება -** გადამამუშავებელ საწარმოებში GHP/HACCP და GeoGAP-ის დოკუმენტაციის გადახედვა და გაუმჯობესების რეკომენდაციების მიწოდება.
3. **ეფექტიანი კოორდინაცია და მხარდაჭერა** - პროექტის გუნდსა და ბენეფიციარებს შორის უწყვეტი კომუნიკაციის დამყარება და ინფორმაციის გაცვლა.

4. კვალიფიკაცია

ინდივიდუალური კონსულტანტი, რომელსაც აქვს ჩამოთვლილი ამოცანების შესრულების დადასტურებული უნარი მოცემულ ვადაში და წარსული გამოცდილება.

5. ამოცანები/აქტივობები

| Დავალებები | ვადები |
|---|---|
| **დავალება I: 5.1. ფერმერების ტექნიკური დახმარება და სერტიფიცირებისთვის მომზადება GeoGAP სტანდარტის დანერგვის მიზნით** | |
| ფერმერებთან ერთად GeoGAP სერტიფიცირების განაცხადების შევსება და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება;<br>ფერმებში პირველადი ვიზიტების განხორციელება და სერტიფიცირების პროცესისთვის საჭირო ტექნიკური კონსულტაციის გაწევა; | 2025 წლის სექტემბერი |
| ფერმების მეორეული შეფასება და ფერმის მზადყოფნის დადგენა სერტიფიცირებისთვის. | 2025 წლის ნოემბერი |
| **დავალება II: 5.2. საგრანტო განაცხადების გადახედვა და შესაბამისობის შეფასება პროექტის მოთხოვნებთან.** | |
| სამოქმედო გეგმის მიხედვით ფერმერების პროგრესის მონიტორინგი | 2025 წლის სექტემბერი-დეკემბერი |
| **დავალება III: 5.3. დისტრიბუტორების და გადამამუშავებელი საწარმოების მონახულება, სახელმწიფო სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების მიწოდება** | |
| საწარმოში ჰიგიენური პრაქტიკების (GHP) შეფასება და გაუმჯობესების რეკომენდაციების გაცემა;<br>საწარმოო პროცესში საკონტროლო კრიტიკული წერტილების (HACCP) ის დოკუმენტების გადახედვა და შესაბამისობის დადგენა: | 2025 წლის დეკემბერი |
| **დავალება IV: 5.4. პროექტის განმახორციელებელ თანამშრომლებთან მუდმივი კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა;** | |
| სამოქმედო გეგმის დასახვა და/ან ცვლილების შეტანა საჭიროებისამებრ<br>პროექტის საორგანიზაციო გუნდთან აქტიური კომუნიკაცია. | 2025 წლის სექტემბერი-დეკემბერი |

6. დროის განრიგი და ორგანიზება

თითოეული დავალების შესრულების ვადები მოცემულია ამ დოკუმენტის მე-5 ნაწილში (დავალებები/აქტივობები). კონსულტანტს შეუძლია შესთავაზოს განსხვავებული დროის განრიგი, რომელიც შესაფერისია ამოცანების შესასრულებლად. თუმცა, დავალება 1 და 2 უნდა დასრულდეს და მიწოდებული იყოს 2025 წლის 31 დეკემბრამდე.

## 7. ანგარიშგება

ადგილობრივი კონსულტანტი აქტიურად იმუშავებს პროექტის გუნდთან კონტრაქტის მოქმედების პერიოდში. საბოლოო ანგარიში მომზადდება სამუშაო პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა (ბოლო ვადა).

## 8. დოკუმენტაცია

კვლევაზე მუშაობისას კონსულტანტმა უნდა გაითვალისწინოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგია, ისევე როგორც სხვა შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტები. ასევე, პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევები და შესაბამისი სერტიფირების სქემის მოთხოვნები.

## 9. ბიუჯეტი

კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს დღიური ტარიფი და საკონსულტაციო/სამუშაო დღეების რაოდენობა ამ ToR-ის მე-5 ნაწილში (დავალებები/აქტივობები) ჩამოთვლილი ამოცანების მიხედვით. ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იქნება ლარში, ყველა გადასახადისა და დაქვითვის ჩათვლით, გარდა დღგ-სი.

## 10. წინადადების პაკეტი

ამ საკონსულტაციო სამუშაოს პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ:
- შემოთავაზების ფორმა (დანართი N1);
- განხორციელების პროცესის აღწერა;
- ბიუჯეტი ლარში (დანართი N2) - დღიური განაკვეთი და დღეების საერთო რაოდენობა თითოეული ამოცანისთვის.
- რეზიუმე (CV)

*შემსყიდველი იტოვებს უფლებას, პრეტენდენტს მოსთხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია გამოცდილებასთან დაკავშირებით.*

## 11. წინადადების შეფასება

GFA-ს მიერ დანიშნული შეფასების კომისია აფასებს წინადადებებს სამუშაო პირობებთან შესაბამისობის მიხედვით.

*მინიმალური კვალიფიკაცია*

განმცხადებლებმა მკაფიოდ უნდა აჩვენონ წარსული გამოცდილება და აკმაყოფილებდნენ ქვემოთ ჩამოთვლილ მინიმალურ კვალიფიკაციას:

● სურსათის უვნებლობის სფეროში მუშაობის მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება. უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს რომელსაც აქვს სამუშაო გამოცდილება მესაქონლეობის სექტორში, რაც მოიცავს, როგორც პირველად წარმოებას, ასევე გადამუშავების ნაწილს (რძე და რძის პროდუქტების წარმოება);

● ანალიტიკური გამოცდილება სოფლის მეურნეობის სფეროში. უპირატესობა მიენიჭება პირველადი მესაქონლეობის და თაფლის წარმოების მიმართულებას;

● უპირატესობა მიენიჭება გამოცდილებას კონსულტაციების გაწევის მიმართულებით იმ ფერმერებთან, რომლებთანაც უნდა დაინერგოს/დანერგილა გეოგაპის სტანდარტი;

● უპირატესობა მიენიჭება რძის და თაფლის გადამამუშავებელ საწარმოებთან მუშაობას სურსათის უვნებლობის საკითხების შეფასების მიმართულებით.

**შეფასების ქულების სისტემა**

| წინადადების შეფასების ქულების სისტემა | | ქულის წონა | ქულა |
|---|---|---|---|
| 1 | შემოთავაზებული მეთოდოლოგია, მიდგომა და განხორციელების გეგმა | 30 % | 300 |
| 2 | ძირითადი პერსონალის კვალიფიკაცია და როლებისა და პასუხისმგებლობების განაწილება | 30 % | 300 |
| 3 | ხარჯების ეფექტურობა | 40% | 400 |
| | **სულ ქულა** | | 1000 |

სერვისთან დაკავშირებით ნებისმიერი შეკითხვა უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელ. ფოსტაზე: procurement@gfa.org.ge არა უგვიანეს **2025 წლის 27 აგვისტოსი.**

წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2025 წლის 29 აგვისტო**. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად, ხელმოწერით დამოწმებული შემდეგ მისამართზე: procurement@gfa.org.ge.

დანართი N 1

# შ ე მ ო თ ა ვ ა ზ ე ბ ი ს   ფ ო რ მ ა

__________(თარიღი)

ა(ა)იპ “საქართველოს ფერმერთა ასოციაციას”

პრეტენდენტის სახელწოდება: ____________________

- ადასტურებს **საკონსულტაციო მომსახურების** გაწევას იმ ფასის, პერიოდის და პირობების შესაბამისად, რომელიც მოცემულია აღნიშნული ტენდერის დოკუმენტაციაში.
- ეთანხმება, გამარჯვებულად გამოვლენის პირობებს.
- ადასტურებს წარმოდგენილი ინფორმაციის ნამდვილობას და გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მზადყოფნას.

პრეტენდენტის რეკვიზიტები:

- საიდენტიფიკაციო ნომერი: ------------------------
- იურიდიული მისამართი: ------------------------
- მომსახურე ბანკი დასახელება: ------------------------
- ბანკის კოდი: ------------------------
- საბანკო ანგარიშის ნომერი: ------------------------

უფლებამოსილი პირის თანამდებობა ------------------------

სახელი და გვარი ------------------------

ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

დანართი N 2

ბ ი უ ჯ ე ტ ი

| N | დასახელება | დღეების რაოდენ. | დღიური ფასი (GEL)* | სულ ფასი (GEL)* |
|---|---|---|---|---|
| 1 | დავალება I: ფერმერების ტექნიკური დახმარება და სერტიფიცირებისთვის მომზადება GeoGAP სტანდარტის დანერგვის მიზნით | | | |
| 2 | დავალება II: საგრანტო განაცხადების გადახედვა და შესაბამისობის შეფასება პროექტის მოთხოვნებთან. | | | |
| 3 | დავალება III: დისტრიბუტორების და გადამამუშავებელი საწარმოების მონახულება, სახელმწიფო სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების მიწოდება | | | |
| 4 | დავალება IV: პროექტის განმახორციელებელ თანამშრომლებთან მუდმივი კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა; | | | |
| | სულ | | | |

*ფასი მოცემული უნდა იყოს დღგ-ს გარეშე. ასევე, ფასები უნდა მოიცავდეს ტრანსპორტირების ხარჯს.

ვადასტურებთ ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეს

პრეტენდენტის სახელწოდება: -------------------------

უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი -------------------------

ხელმოწერა -------------------------

თარიღი -------------------------

ბ.ა.